საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/122
16.02.2024

ბრძანება

122-01-4-202402161252

მოვაჭრე შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბი" მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" მე-12 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 ოქტომბრის №04/701 ბრძანებით, შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბის" (ს/ნ 400311408) მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა დასრულდეს მოვაჭრის მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე მოვაჭრესა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით.
2. შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბს" დაევალოს, პირობითი ვალდებულების თაობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში შეასრულოს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.
3. ეს ბრძანება, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე გაფორმებულ შეთანხმებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საფუძველი: შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბის" მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და მოვაჭრე - შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბს" შორის გაფორმებული 2024 წლის 14 თებერვლის შეთანხმება.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

შეთანხმება შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბის" მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე

ქ. თბილისი

14 თებერვალი, 2024 წელი

ერთი მხრივ შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბი" (ს/ნ 400311408) იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N195, სართული 8, ბინა 34 (შემდგომში - მოვაჭრე) წარმოდგენილი დირექტორის, ანნა ლილუაშვილის (პ/ნ [illegible]) სახით და მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (ს/ნ 205310938) (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-12 მუხლის, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1.1.1. კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე, შეიმუშავოს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა ქართულ ენაზე, მკაფიოდ, გასაგებად, სრულად და იგი განათავსოს შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბის" სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლისთვის თვალსაჩინო ადგილზე. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საქონლის ან/და მომსახურების დასახელებას, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლებს;
ბ) მოვაჭრის ვინაობას (სახელწოდება) და მისამართს (იურიდიული მისამართი); მოვაჭრის ფაქტობრივ მისამართს, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან. მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის ნომრებს, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია;

გ) საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელებასა და მის მისამართს (არსებობის შემთხვევაში);

დ) საქონლის ან მომსახურების ფასს, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით;
ე) გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობებსა და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესს (არსებობის შემთხვევაში);
ვ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობებს, ვადასა და წესს;
ზ) კანონისმიერი გარანტიასა და მის ვადას, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობებს.

1.1.2. კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სარეალიზაციო მაღაზიებში განთავსებული საქონლსა და მომსახურებაზე გასაყიდი ფასისა და ერთეული ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ერთეული ფასის მითითება აუცილებელი არ არის თუ, იგი გასაყიდი ფასის იდენტურია. რეკლამაში, რომელშიც მითითებულია გასაყიდი ფასი, უნდა მიეთითოს აგრეთვე ერთეული ფასიც.

1.1.3. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.

1.1.4. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს კანონისმიერი გარანტიის პირობები და ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ, გასაგებად და სრულად. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას მომხმარებელს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებლის უფლების შესახებ, რომ მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან;

ბ) იმის თაობაზე, რომ საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია და მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს;

გ) საქონლის შეკეთების ან შეცვლის გონივრულ ვადის შესახებ;

დ) იმის თაობაზე, რომ საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

ე) მომხმარებლის უფლების შესახებ, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ე.ა) კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია;

ე.ბ) მოვაჭრემ საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა;

ე.გ) მოვაჭრის მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის;

ვ) იმის შესახებ, რომ მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.

1.1.5. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, მომხმარებელს გაუწიოს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურება.

ა) მომხმარებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მოვაჭრეს უნდა განუსაზღვროს მომსახურების გაწევის/ნაკლის აღმოფხვრის გონივრული დამატებითი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს. არათანაზომიერი ან შეუსაბამოდ დიდი ხარჯი განისაზღვრება ამ კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.
ბ) დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს:
ა.ა.)მოვაჭრის ხარჯით მომსახურების გაწევა ან ნაკლის აღმოფხვრა სხვა პირს შესთავაზოს;
ბ.ბ.)მოითხოვოს მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება;
გ.გ.) უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გ) წინამდებარე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის განსაზღვრა სავალდებულო არ არის, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება, ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება მომსახურების დროულად მიღებას დაუკავშირა.
დ) თუ მოვაჭრემ დროულად არ დაიწყო მომსახურების გაწევა ან მომსახურების პროცესი უსაფუძვლოდ ჭიანურდება, რაც მომსახურების დათქმულ ვადაში გაწევას შეუძლებელს ხდის, მოვაჭრეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მომსახურების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე გაწეული მომსახურების საზღაური, თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

1.1.6. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს კომერციული გარანტიის პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის, ხანგრძლივობა და მოქმედების ტერიტორია და მისი გასაჩივრებისთვის საჭირო

ინფორმაცია, კერძოდ, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მოვაჭრის სახელი, მისამართი და განათავსოს მომხმარებლისთვის თვალსაჩინო ადგილზე.

1.1.7. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, რომ მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მას წერილობით ან მისთვის მისაღები სხვა ფორმით მიაწოდოს კომერციული გარანტიის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია.

1.1.8. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას შეწყვიტოს კანონის 24-ე მუხლით აკრძალული უსამართლო კომერციული საქმიანობა.

1.1.9. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას შეწყვიტოს კანონის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი ქმედებები:

ა) ცრუ განაცხადის გაკეთება, რომ საქონელი ან მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება ან/და განსაკუთრებული პირობები იმოქმედებს მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში, იმ მიზნით, რომ მომხმარებელმა მყისიერი გადაწყვეტილება მიიღოს და მას არ მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) მომხმარებლისთვის კანონით მინიჭებული უფლების განხორციელების შესაძლებლობის ისე წარმოჩენა, თითქოს ეს მოვაჭრის კეთილი ნება და შეთავაზების განსაკუთრებული პირობაა;

გ) განაცხადის გაკეთება, რომ საქონელი ან მომსახურება უსასყიდლოდ არის შეთავაზებული, თუ მომხმარებელს, საქონლის ან მომსახურების მიღებისთვის ან ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების გარდა, დამატებითი თანხის გადახდა უწევს;

1.1.10 მოვაჭრე იღებს ვალდებულებას კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, სწორად და სრულად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) საქონლის ან მომსახურების არსი და შემდეგ ძირითად მახასიათებლები: ხელმისაწვდომობა, სარგებელი, რისკები, გამოყენება, შემადგენლობა, აქსესუარები, გაყიდვისშემდგომი მომსახურება, საჩივრის განხილვის წესთან დაკავშირებული პროცედურები, წარმოების ადგილი, თარიღი და მეთოდი, მიწოდება, მიზანთან შესაბამისობა, რაოდენობა, ზომა, წონა, მახასიათებლები, გეოგრაფიული ან კომერციული წარმომავლობა, გადაზიდვისა და შენახვის პირობები, გამოყენების მოსალოდნელი შედეგები, აგრეთვე საქონლის ან მომსახურების შემოწმებისა და ტესტირების შედეგები და მათ საფუძველზე გამოვლენილი არსებითი გარემოებები;

ბ) მოვაჭრის პასუხისმგებლობის ფარგლები, რომელიც ეხება კომერციული საქმიანობის მოტივსა და გაყიდვის პროცესის თავისებურებას, აგრეთვე ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც

მოვაჭრის მიერ საქონლის ან მომსახურების პირდაპირი ან არაპირდაპირი სპონსორობის განხორციელებას უკავშირდება;

გ) ფასი ან ფასის გაანგარიშების სათანადო მეთოდი ან მითითება სპეციალურ ფასზე, აგრეთვე საქონლის ან მომსახურების მიწოდების პირობები;

დ) საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული მომსახურება, საქონლის ნაწილის შეცვლის ან შეკეთების საჭიროება;

ე) მოვაჭრის ან მისი წარმომადგენლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, საიდენტიფიკაციო მონაცემები, სტატუსი, თანხმობა, კვალიფიკაცია, საწარმოო, კომერციული და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ან მათთან კავშირი, აგრეთვე წარმოებასთან ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებები;

ვ) მომხმარებლის უფლებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, მომხმარებლის მიერ საქონლის დაბრუნების, შეცვლისა და შეკეთების, პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობისა და ფორმის, აგრეთვე მოსალოდნელი რისკის თაობაზე ინფორმაცია.

1.1.11. მოვაჭრე იღებს ვალდებულებას შეწყვიტოს კანონის 27-ე მუხლით აკრძალული აგრესიული კომერციული საქმიანობა, კერძოდ:

ა) მომხმარებლისთვის სისტემატურად, ტელეფონით ან დისტანციური კომუნიკაციის სხვა საშუალებით არასასურველი შეთავაზებების გაკეთება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად;

1.1.12. მომხმარებლ(ებ)ის მოვაჭრისათვის მიმართვიდან **10 სამუშაო დღეში** აღადგინოს იმ მომხმარებელთა უფლებები, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კანონით გათვალისწინებული უფლებები სავარაუდოდ დაერღვათ.

2. შეთანხმების შესრულების ვადა

2.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

2.2. **შპს "ლაქშერი ესთეტიქს ჰაბი"** ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განახორციელოს ამ შეთანხმების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები და ამ ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების თაობაზე და სააგენტოში წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 სააგენტო უფლებამოსილია, მოვაჭრეს მოსთხოვოს მის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით.

3.2 სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს მოვაჭრის მიერ პირობით აღებული ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.

3.3 მოვაჭრე ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირობით აღებული ვალდებულებების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ამ შეთანხმების **2.2.** პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შეთანხმების შეუსრულებლობის შედეგები

4.1 სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა თუ:

ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;

ბ)პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

4.2. ხელახლა დაიწყებული საქმის შესწავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

5.1. თითოეული მხარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) შედეგად. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება სააგენტოს ან მოვაჭრის კონტროლის ფარგლებს და შესაბამის მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით, წარმოების სხვა სახის შეფერხებით.

5.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებას ფორს მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან.

5.3 შეთანხმებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე შეთანხმება დადებულია მხარეთა შეთანხმებით და ნებაყოფლობით.

6.2. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და მხარეთა მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად.

7. მხარეთა ხელმოწერები

მოვაჭრე:
შპს „ლაქშერი ესთეტიქს ჰაბი“
(ს/ნ 400311408)
დირექტორი,
ანნა ლილუაშვილი
(პ/ნ [illegible]

საქართველოს კონკურენციისა და
მომხმარებლის დაცვის სააგენტო
(ს/ნ 205310938)
თავმჯდომარე, ირაკლი ლექვინაძე

Irakli Lekvinadze

Digitally signed by Irakli Lekvinadze
Date: 2024.02.14 12:50:10